

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: იტალიური ფილოლოგია/ Italian Philology

მისანიჭებელი კვალიფიკაცია : ფილოლოგიის ბაკალავრი/ BA in Philology

სპეციალობა: იტალიური ფილოლოგია/ Italian Philology

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS კრედიტი.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის იტალიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო **240 ECTS** კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- **50 ECTS კრედიტი** ეთმობა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა სტუდენტისათვის სავალდებულო ე.წ. საფაკულტეტო სასწავლო კურსებს.
- **120 ECTS კრედიტი** განკუთვნილია სტუდენტის მიერ არჩეული ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობისათვის (საბაკალავრო პროგრამისათვის).
- **60 ECTS კრედიტის** ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი დამატებითი საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) არჩევა. დამატებითი სპეციალობის არჩევა შესაძლებელია როგორც ძირითადი სპეციალობის განმახორციელებელ ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე, ისე თსუ-ს სხვა ფაკულტეტებზე.

დამატებითი სპეციალობა სტუდენტს არ ანიჭებს აკადემიურ ხარისხს, მაგრამ დამატებითი სპეციალობა ძირითად სპეციალობასთან კომბინაციით, აღრმავებს სტუდენტის ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს; და /ან აძლევს შესაძლებლობას შეიძინოს გარკვეული საბაზისო ცოდნა, რომელიც მას, ძირითად სპეციალობასთან ერთად, შრომის ბაზარზე ან განათლების შემდგომი საფეხურისათვის გამოსადეგ დარგობრივ კომპეტენციებს ჩამოუყალიბებს.

დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია 60 კრედიტი გამოიყენოს მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით მისთვის სასურველი საბაკალავრო სასწავლო კურსის შესასწავლად (ეს შეიძლება იყოს მისი ძირითადი ან დამატებითი სპეციალობის, მისივე ფაკულტეტის რომელიმე სხვა სპეციალობის, სხვა ფაკულტეტის ამა თუ იმ სპეციალობის საგანი/მოდული. საგნის ასარჩევად დაბრკოლება შეიძლება გახდეს ამ საგნის შესწავლის წინაპირობა და მსმენელთა რაოდენობის შეზღუდვა, ან ამ საგანზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა სიმცირე, ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე). დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია აგრეთვე გაიღრმავოს უცხო ენის დონე (კრედიტების მაქსიმალური რაოდენობა 40 ECTS კრედიტი);

- **10 ECTS** კრედიტი განსაზღვრულია ე.წ. თავისუფალი კრედიტებისთვის; სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, რომ თავისი პროფესიული თუ პიროვნული განვითარების მიზნით, მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი (მათ შორის უცხო ენა).

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **იტალიური ფილოლოგიის** საბაკალავრო ძირითადი პროგრამის ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობის 120 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

სასწავლო კომპონენტს ეთმობა **110 ECTS** კრედიტი, ხოლო კვლევით კომპონენტს (საბაკალავრო ნაშრომს) - **10 ECTS** კრედიტი.

სასწავლო კომპონენტის **110 ECTS** კრედიტიდან:

- **20 ECTS** კრედიტი გაკუთვნილია ზოგადფილოლოგიური კომპეტენციებისთვის აუცილებელი კურსებისთვის,
- **70 ECTS** კრედიტი ეთმობა ძირითად მაპროფილებელ დისციპლინებს;
- **20 ECTS** კრედიტი - სპეციალობის არჩევით დისციპლინებს.

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 240 ECTS კრედიტის დაგროვება და ძირითადი პროგრამის 170 ECTS კრედიტის (50 +120) შესრულება.

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი:

იტალიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მასში ჩართული აკადემიური რესურსითა და სასწავლო კომპონენტით მიზნად ისახავს, მოიცვას დარგის ფართო ცოდნა და სტუდენტს კომპლექსურად შეასწავლოს პრაქტიკული იტალიური ენა, საენათმეცნიერო, თეორიულ დისციპლინები და იტალიური ლიტერატურის ისტორია; პროგრამის მიზანია ფართო და ზოგადი ცოდნის ფონზე, მოამზადოს ფილოლოგი, აღჭურვილი იმ დარგობრივი კომპეტენციებითა და უნარებით, რომლებიც უზრუნველყოფს მის შრომით ბაზარზე დასაქმებას. პროგრამა ითვალისწინებს ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნებს, აგრეთვე უზრუნველყოფს საკუთარი კურსდამთავრებულისთვის შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. აღნიშნული პროგრამის სტუდენტი საერთო საფაკულტეტო სავალდებულო და არჩევითი დისციპლინების საფუძველზე ერკვევა მთელი რიგი ჰუმანიტარული მეცნიერებების საფუძვლებში, ამიტომაც აქვს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფართო პროფილით სწავლის გაგრძელების პერსპექტივაც.

გარდა ამისა, იტალიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ისეთი ახალგაზრდა, რომელიც დაიცავს სათანადო აკადემიურ და ეთიკურ ნორმებს: აკადემიური პატიოსნების სტანდარტებს, ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას; რომელსაც ექნება კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის

პატივისცემა; გამოუმუშავდება დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.

ამგვარად, იტალიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ითვალისწინებს მისიით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას - საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას, ინოვაციურ კვლევებსა და სწავლებას, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

ამ მიზნის მისაღწევად პროგრამა ემყარება და აგრძელებს საუნივერსიტეტო ტრადიციებს; იტალიური ფილოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი სპეციალობის დაარსება (2001 წ.) გამოწვეული იყო იმ გაზრდილი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ინტერესით, რომლითაც ევროპის ქვეყნები, კონკრეტულად იტალია და საქართველო იჩენენ ერთმანეთის მიმართ. ევროპასთან მეზობლობა და მჭიდრო ისტორიული ურთიერთობა ბუნებრივად ითხოვს ჩვენი ქვეყნისგან სათანადო ცოდნის ფლობას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **იტალიური ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული საშუალო განათლების მქონე პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე; ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებიდან და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მობილობის წესით გადმოსული სტუდენტებისათვის **იტალიური ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ვადებში ცხადდება მობილობა და ცენტრს წარედგინება ინფორმაცია **იტალიური ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამაზე არსებული ვაკანტური ადგილების შესახებ. პარალელურად, საბაკალავრო პროგრამის აღწერილობა და ვაკანტური ადგილების რაოდენობა ქვეყნდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდებზე.

იტალიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე მობილობით გადმოსვლის მსურველი/გადმოსული სტუდენტის მიერ უკვე გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა **იტალიური ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამასთან დგინდება კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული საუნივერსიტეტო რეგულაციებით. კერძოდ, აღნიშნულ საკითხს არეგულირებს თსუ აკადემიური საბჭოს შემდეგი დადგენილებები: N58/2010,

25.06.10 „ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემის (ECTS) შემოღებამდე გავლილი უმაღლესი განათლების სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭების წესის შესახებ“; N57/2010, 25.06.10 „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის ფარგლებში გადმოსულ და აღდგენილ სტუდენტთა კრედიტების აღიარების წესი“ და N59/2010, 25.06.10 „უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის დროს დაგროვილი კრედიტების აღიარების წესის ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ“.

სწავლის შედეგი:

ა) ცოდნა და გაცნობიერება

იტალიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული სასწავლო დისციპლინების მასალის ათვისების საფუძველზე **ფილოლოგიის** ბაკალავრს **იტალიური ფილოლოგიის** სპეციალობით გააჩნია ზოგადად ჰუმანიტარული მეცნიერებათა საფუძვლების, ფილოლოგიისა და კერძოდ, იტალიური ფილოლოგიის დარგობრივი სფეროს ფართო და კომპლექსური ცოდნა. ის ფლობს სათანადო ტერმინოლოგიას და დარგობრივ სფეროში მუშაობის მეთოდებს; გაცნობიერებული აქვს იტალიური ფილოლოგიის დარგის მოცულობა; იცნობს სასპეციალიზაციო დარგობრივი სფეროს მთავარ პრინციპებს, თეორიებსა და კონცეფციებს; დაუფლებულია სასპეციალიზაციო ენას (იტალიურს) სულ მცირე, B2 (+) დონეზე და ინგლისურს მინიმუმ B1 დონეზე საერთო ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი ჩარჩოს მიხედვით, იცის რომელიმე კლასიკური ან აღმოსავლური ენის საფუძვლები აკადემიური და კვლევითი მიზნებისთვის.

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

ფილოლოგიის ბაკალავრს იტალიური ფილოლოგიის სპეციალობით შეუძლია იტალიური ფილოლოგიის დარგობრივ სფეროში კომპლექსური პრობლემების ამოცნობა/იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა დარგის ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავება და კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. პროგრამით მიღებული შესაბამისი ფართო ჰუმანიტარული ცოდნის, უნარების საფუძველზე აქვს ლინგვისტური და ლიტერატურული პროცესების ელემენტარული შეფასებისა და ანალიზის უნარი.

ფილოლოგიის ბაკალავრს იტალიური ფილოლოგიის სპეციალობით შეუძლია იტალიური ენის პრაქტიკული გამოყენება მთელი რიგი წერილობითი კორესპონდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, აქვს საუბრის თავისუფლად წარმართვის უნარ-ჩვევები, იტალიურ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვის, მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და

რეპროდუქციის უნარი. შეუძლია პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში ამ ენის ეფექტურად გამოყენება. კონკრეტულად კი იტალიური ენის B2 დონის შესაბამისი ცოდნა ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს საშუალებას აძლევს:

აუდირება: გაიგოს ვრცელი მოხსენება ან ლექცია იმ თემატიკაზე, რომელიც მისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილია; შეუძლია გაიგოს ახალი ამბები, რეპორტაჟი მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით; ფილმების შინაარსი, თუ მათი გმირები სალიტერატურო ენით მეტყველებენ.

წაკითხვა: შეძლოს იმ სტატიებისა და მოხსენებების გაგება, რომლებიც ეხება თანამედროვე პრობლემებს და რომელთა ავტორებიც გამოთქვამენ განსაკუთრებულ აზრს ან უკავიათ განსაკუთრებული პოზიცია; შეძლოს თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის წაკითხვა და გაგება.

დიალოგი: სპონტანურად და შეუფერხებლად ისაუბროს იტალიურ ენაზე ამ ენის მატარებლებთან, აქტიური მონაწილეობა მიიღოს დისკუსიებში, რომლებიც მისთვის ნაცნობ თემებს ეხება. დაასაბუთოს და დაიცვას თავისი შეხედულებები.

მონოლოგი: მას შეუძლია ნათლად და დასაბუთებულად გამოხატოს თავისი შეხედულებები მისთვის საინტერესო საკითხებზე; შეუძლია ახსნას თავისი თვალსაზრისი აქტუალურ თემასთან დაკავშირებით, წარმოაჩინოს ყველა დადებითი და უარყოფითი არგუმენტი.

წერა: შეუძლია მკაფიო და დეტალური ტექსტის დაწერა, რომელიც შეეხება მისთვის საინტერესო, მრავალფეროვან საკითხებს; შეუძლია დაწეროს ესე ან მოხსენება, გააშუქოს ინფორმაცია დადებითი ან უარყოფითი თვალსაზრისის დასაბუთებით. შეუძლია დაწეროს წერილები, რომლებშიც კარგად წარმოაჩენს მისთვის მნიშვნელოვან მოვლენებსა და შთაბეჭდილებებს.

ფილოლოგიის ბაკალავრს იტალიური ფილოლოგიის სპეციალობით ასევე შეუძლია მის მიერ არჩეული ევროპული ან აღმოსავლური ენის სულ მცირე A2 დონის შესაბამისი კომპეტენციების დადასტურება.

გ) დასკვნის უნარი

ფილოლოგიური მეცნიერებების ამა თუ იმ აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით მასალებისა და მონაცემების შეგროვების, გააზრების, სისტემატიზაციისა და მათ საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების; იტალიური ფილოლოგიის სფეროში არსებული საშუალო სირთულის პრობლემების იდენტიფიკაციის და თანამედროვე მეთოდების გამოყენებით მათი გადაჭრის გზების მოძიების უნარი; ანალიზის შედეგად დასკვნის გაკეთების უნარი; დარგობლივ სფეროში ანალიტიკური უნარის გამომუშავება. არგუმენტირების, კრიტიკული შეფასების, სათანადო წერილობითი დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; დასამუშავებლად მიცემული მასალის ლოგიკურად აწყობა, ჩამოყალიბება და მისაღები ფორმულირებით გადმოცემა. პრობლემის სინქრონიზაში და დიაქრონიზაში ხედვის უნარი; სისტემის (სტრუქტურის) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და მინიმალური დახმარების

პირობებში მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების უნარი.ენის თეორიულ საგნებსა და იტალიურ ლიტერატურაში შესწავლილი მასალის ანალიზისა და სინთეზის უნარი; გარკვეულ პრობლემებზე დასაბუთებული დასკვნების გამოტანის უნარი და მათი ლოგიკურად ჩამოყალიბების უნარი.

დ) კომუნიკაციის უნარი

ფილოლოგიის ბაკალავრს **იტალიური ფილოლოგიის** სპეციალობით შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა და აკადემიური ან კვლევითი პროექტის დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება. მას შეუძლია ასევე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენება, მათ შორის დარგობრივ სფეროში; ეფექტურად ურთიერთობს სამუშაო /სასწავლო/ პროფესიულ ჯგუფში, შეუძლია პროფესიულ კონტექსტში სხვადასხვა ტიპის დისკუსიებში მონაწილეობა.

ფილოლოგიის ბაკალავრს **იტალიური ფილოლოგიის** სპეციალობით შეუძლია მაპროფილებელ (იტალიურ) ენაზე გაიგოს კონკრეტული და აბსტრაქტული თემების მქონე რთული ტექსტების არსებითი შინაარსი, მას ესმის თავისი სპეციალობის სფერო და შეუძლია დარგობრივი დისკუსიის წარმართვა; შეუძლია სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი, ნორმალური დიალოგის წარმართვა ენის მატარებელთან; შეუძლია მკაფიოდ და დეტალურად ისაუბროს სხვადასხვა თემებზე, განმარტოს გარკვეული აქტუალური საკითხისადმი დამოკიდებულება და მიუთითოს სხვადასხვა შესაძლებლობების უპირატესობები და ნაკლოვანი მხარეები. შეუძლია დამოუკიდებლად და სწრაფად სხვადასხვა თემებზე დაწერილი ტექსტების კითხვა; ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების გამოყენება; აქვს კარგი ცოდნა ხშირად გამოყენებადი იდიომების, ანდაზებისა და ფრაზეოლოგიური ერთეულებისა, შეუძლია მათი ეფექტური და ადეკვატური გამოყენება. შეუძლია წერილობით მკაფიოდ ჩამოაყალიბოს თავისი აზრები და შეხედულებები სხვადასხვა თემებზე; შეუძლია ანგარიშის, საქმიანი წერილის, მოთხრობისა და სხვადასხვა ტიპის ესეს დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად.

ე) სწავლის უნარი

ფილოლოგიის ბაკალავრს **იტალიური ფილოლოგიის** სპეციალობით აქვს სამუშაო დროის სწორად და რაციონალურად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი: თავისი პასუხისმგებლობისა და კომპეტენციის სფეროში შეუძლია სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოს შესრულების გეგმის შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება, ჯგუფის გამოცდილ და პროფესიონალ წევრებთან/ხელმძღვანელთან კონსულტირება. მას ესმის ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. შეუძლია საკუთარ თავზე მუშაობა და ბაკალავრიატში სწავლის მანძილზე მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფა; შეუძლია დამოუკიდებელი მუშაობა მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების შესაბამისად. შეუძლია

სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით ცოდნის განახლება; კვლევით სამუშაოს ასრულებს წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების მიხედვით ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ. მას აქვს განათლების შემდგომ (სამაგისტრო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

ვ) ღირებულებები

ფილოლოგიის ბაკალავრს **იტალიური ფილოლოგიის** სპეციალობით კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა და სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმები. იცავს აკადემიური პატიოსნების სტანდარტებს; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას. მას აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.

იტალიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის შედეგებია:

- **ცოდნა და გაცნობიერება:**

		სასწავლო დისციპლინები
1.1	ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ძირითადი ეტაპები, კონცეპტები და მეთოდები, ფილოსოფიის ისტორიის, პოლიტიკისა და რელიგიის ფილოსოფიის, ეთიკის, ესთეტიკისა და ლოგიკის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საფუძვლები.	ფილოსოფიის შესავალი (საფაკულტეტო სავალდებულო)
1.2	საქართველოს ისტორიის ძირითადი ეტაპები, ფაქტები და მოვლენები მსოფლიოს გეოპოლიტიკურ კონტექსტში.	საქართველოს ისტორია (საფაკულტეტო სავალდებულო)
1.3	აკადემიური წერის ძირითადი პრინციპები.	აკადემიური წერა (საფაკულტეტო სავალდებულო)
1.4	რომელიმე სხვა (არამაპროფილებელი) სპეციალობის საფუძვლები, ძირითადი თეორიები, პრინციპები და კვლევის მეთოდები (არჩევით).	საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსი
1.5	ინგლისური ენა საშუალო (B1) ან	ინგლისური ენა (საფაკულტეტო

	საშუალოზე მაღალ (B2) დონეზე; არჩევის შემთხვევაში რომელიმე სხვა ევროპული ენა მინიმუმ A2 დონეზე.	სავალდებულო); რომელიმე სხვა ევროპული ენა (საფაკულტეტო ევროპული ენა ; არჩევით)
1.6	ერთ–ერთი კლასიკური ან აღმოსავლური ენის საბაზისო კურსი (არჩევით)	ერთ–ერთი კლასიკური ან აღმოსავლური ენა (არჩევით)
1.7	ძირითადი ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი ცნებითი აპარატი, დეფინიციები, ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და სემანტიკის ამოსავალი დებულებები; ლიტერატურული მიმდინარეობები, ჟანრები და ტროპის სახეები. ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი ძირითადი	ენათმეცნიერების შესავალი (საფაკულტეტო სავალდებულო); შესავალი ლიტერატურათმცოდნეობაში (საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსი)
1.8	ლიტერატურის თეორიის საფუძვლები; ერთ-ერთი ევროპული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ეტაპების, ჟანრების, მნიშვნელოვანი ავტორებისა და მათი ნაწარმოებების კონცეპტუალური და სტილისტური მახასიათებლების ცოდნა.	ლიტერატურის თეორია (ფილოლოგიური კომპეტენციისთვის სავალდებულო კურსი); მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის კურსი (ფილოლოგიური კომპეტენციისთვის სავალდებულო კურსი) (არჩევით)
1.9	ენათმეცნიერების წარმოშობა და განვითარების ეტაპები. ლინგვისტური თეორიები და ჰიპოთეზები, მათი ურთიერთმიმართება. კომპარატივისტული, არეალური და ტიპოლოგიური ენათმეცნიერების საფუძვლები.	ზოგადი ენათმეცნიერება (ფილოლოგიური კომპეტენციისთვის სავალდებულო კურსი);
1.10	ზოგადი და საფუძვლიანი ცოდნა ინდოევროპულ ენათა ოჯახის რომანული შტოს შესახებ; ენათა ნათესაობის, ისტორიულ–შედარებითი მეთოდის შესახებ. რომანული ენების საერთო ლინგვისტური ნიშნების შესახებ ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ და ლექსიკურ დონეებზე. ფილოლოგიის როგორც კომპლექსური მეცნიერების	შესავალი რომანულ ფილოლოგიაში (საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსი)

	ძირითადი მიმართულებებისა და დარგების შესახებ საბაზისო ცოდნა; ფრანგული, ესპანური, იტალიური ენათმეცნიერების, ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის ძირითადი ცნებების ცოდნა, ტექსტის კვლევის აუცილებელი, საბაზისო ინსტრუმენტარიუმის ფლობა.	
1.11	ცოდნა ლექსიკური ერთეულების სპეციფიკური თვისებებისა და მახასიათებლების, იტალიური ენის ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ფონდის ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითადი ტენდენციების შესახებ; ცოდნა ლექსიკოგრაფიის რაობის, ლექსიკონების ტიპების და მათში ინფორმაციის წარმოდგენის შესახებ.	იტალიური ენის ლექსიკოლოგია (სავალდებულო)
1.12	ცოდნა იტალიური ენის ისტორიული განვითარების – დიაქრონული ჭრილის შესახებ. ენის ისტორიის თვალსაზრისით რადიკალური ცვლილებების განმაპირობებელი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების ცოდნა.	იტალიური ენის ისტორია (სავალდებულო)
1.13	ენის როგორც მკაცრი სისტემური მექანიზმის ცოდნა, რომლის შემადგენელი ერთეულები ურთიერთდამოკიდებულნი არიან. იტალიური ენის გრამატიკის თეორიული საფუძვლების ცოდნა, იტალიური ენის მეტყველების ნაწილებისა და გრამატიკული კატეგორიების დაუფლება.	იტალიური ენის სტრუქტურა (სავალდებულო)
1.14	იტალიური ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების გააზრება. კულტურული ელემენტების რაობისა და მათი კომუნიკაციური ფუნქციის გაცნობიერება. იტალიურ კულტურული სივრცისათვის	იტალიური ენის სოციო-კულტურული ასპექტები (არჩევითი)

	დამახასიათებელი ექსტრალინგვისტური ფაქტორების როლისა და მათი ენასთან მიმართების ცოდნა.	
1.15	იტალიური ენის ფრაზეოლოგიის თეორიული საფუძვლების, აგებულებისა და მნიშვნელობის შესახებ სხვადასხვა თეორიების ცოდნა. ფრაზეოლოგიის „მხატვრული ხატის“ დადგენის (ტროპები: მეტაფორა, მეტონიმია, შედარება და ა.შ.)უნარი. ზოგადად პრაქტიკული იტალიური ენის ცოდნის ამაღლება.	იტალიური ენის სემანტიკის პრობლემები (არჩევითი)
1.16	ზოგად-თეორიული ფართო ცოდნა სხვადასხვა დონის სტილისტური ხერხებისა და ექსპრესიული საშუალებების შესახებ, ტექსტთან და დისკურსთან მიმართებაში სტილისტური მოვლენების აღქმა-განაალიზების ცოდნა.	იტალიური ენის სტილისტიკა (სავალდებულო)
1.17	იტალიურენოვანი ლიტერატურული ნიმუშების ორიგინალში კითხვა-თარგმნისა და მათი სირთულეებში გარკვევის დაწყებითი უნარ-ჩვევების გამომუშავება. მხატვრული ტექსტის ესთეტიკურ-შემეცნებითი ინფორმაციის ადეკვატური გაგება.	თანამედროვე იტალიელი ავტორი ორიგინალში 1 (არჩევითი) თანამედროვე იტალიელი ავტორი ორიგინალში 2 (არჩევითი)
1.18	სპეციალობის მაპროფილებელ იტალიურ ენაში ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი დოკუმენტის “The Common European Framework in its political and educational context” მიხედვით B2 დონის შესაბამისი ცოდნის ფლობა (დამოუკიდებელი მოსაუბრე დარგობრივ სფეროში), რაც გულისხმობს ენობრივ საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარებას (წერა, კითხვა, მოსმენა, ზეპირმეტყველება) ამ დონის შესაბამისად; ცალკეული	იტალიური ენა 1,2,3,4,5,6 (სავალდებულო) იტალიური ენის სემანტიკის პრობლემები (არჩევითი) იტალიური ენის სოციო-კულტურული ასპექტები (არჩევითი) საქმიანი იტალიური ენა (არჩევითი)

	<p>ენობრივი ასპექტების დაუფლებას (ლექსიკა, გრამატიკა, მართლწერა); ათვისებული ლექსიკური მარაგის მაქსიმალურად თავისუფლად გამოყენების უნარს სხვადასხვა თემატიკაზე იტალიურენოვანი ტექსტების (საგაზეთო, პუბლიცისტური, მხატვრული, საგანმანათლებლო) გაცნობა/გაცნობიერებისთვის, ასევე საუბრისა და დისკუსიის წარმართვისას; წერილობით ფორმით აზრის გამოთქმის პროცესში.</p>	
1.19	<p>საქმიანი იტალიური ენის ლექსიკის ცოდნა. საქმიანი მიმოწერის ტექნიკის დაუფლება. გარკვეული ტიპის საქმიანი ქაღალდების იტალიურიდან ქართულად და პირუკუ თარგმნის უნარი;</p>	<p>საქმიანი იტალიური ენა (არჩევითი)</p>
1.20	<p>იტალიური ლიტერატურის განვითარების ძირითადი ეტაპების; ჟანრების, მნიშვნელოვანი ავტორების შემოქმედების, მათი ნაწარმოებების კონცეპტუალური და სტილისტური მახასიათებლების ცოდნა.</p>	<p>იტალიური ლიტერატურის ისტორია 1 – (იტალიური ლიტერატურა შუა საუკუნეებიდან აღორძინებამდე) (სავალდებულო)</p> <p>იტალიური ლიტერატურის ისტორია 2 – (ბაროკო, რომანტიზმი და კლასიციზმი იტალიურ ლიტერატურაში) (სავალდებულო)</p> <p>იტალიური ლიტერატურის ისტორია 3 – (რისორჯიმენტო, იტალიის მეორე აღორძინება) (სავალდებულო)</p> <p>მეოცე საუკუნის იტალიური ლიტერატურა (არჩევითი)</p> <p>ლუიჯი პირანდელოს შემოქმედება (არჩევითი)</p> <p>იტალიური ეგზისტენციალიზმი (არჩევითი)</p>
1.21	<p>თარგმანის თეორიის ზოგად პრინციპებზე წარმოდგენა.</p>	<p>იტალიური ენიდან ქართულად თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფილოლოგიური</p>

<p>მხატვრული თარგმანის სპეციფიკაზე წარმოდგენის შექმნა. იტალიურიდან ქართულად და ქართულიდან იტალიურად წერილობითი და ზეპირი თარგმანის სპეციფიკაში გარკვევა; თარგმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება; ტერმინოლოგიური ეკვივალენტებისა და მთარგმნელობითი შესატყვისობების მოძებნის უნარის განვითარება; ზეპირი და წერილი თარგმანის ტექნიკის დაწყებითი უნარების განვითარება; სათარგმნ ენასთან ერთად ქართული ენის ცოდნის სრულყოფა (პრაქტიკული გრამატიკა, ფუნქციური სტილისტიკა).</p>	<p>კომპეტენციისთვის სავალდებულო კურსი);</p>
--	---

• **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:**

<p>2.1</p>	<p>ლოგიკური მსჯელობა, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, სწორი დასკვნების და ფილოსოფიური ცნებებით ოპერირება.</p>	<p>ფილოსოფიის შესავალი (საფაკულტეტო სავალდებულო)</p>
<p>2.2</p>	<p>ჰუმანიტარულ სფეროში სხვადასხვა პრობლემატიკის ირგვლივ საკუთარი აზრის დამაჯერებლად ჩამოყალიბება /არგუმენტირება, მიზნის ადეკვატური ენობრივი ერთეულების შერჩევა და აკადემიურ გარემოში საჭირო სხვადასხვა დანიშნულების ტექსტების შექმნა.</p>	<p>აკადემიური წერა (საფაკულტეტო სავალდებულო)</p>
<p>2.3</p>	<p>საშუალო ან საშუალოზე მაღალი სირთულის ტექსტის წაკითხვა და შექმნა ინგლისურ ენაზე. ერთ-ერთი სხვა ევროპული ენის (არჩევის შემთხვევაში) ცოდნის გამოყენება აკადემიური მიზნებისთვის.</p>	<p>ინგლისური ენა (საფაკულტეტო სავალდებულო); რომელიმე სხვა ევროპული ენა (საფაკულტეტო ევროპული ენა ; არჩევით);</p>
<p>2.4</p>	<p>ერთ-ერთი კლასიკური ან ადმოსავლური ენის (არჩევით) ცოდნის გამოყენება აკადემიური</p>	<p>ერთ-ერთი კლასიკური (საურველია – ლათინური) ან ადმოსავლური ენა (არჩევით)</p>

	მიზნებისთვის.	
2.5	ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავება და ანალიზი.	საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსი
2.6	ძირითადი ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდების გამოყენება ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის (ნაშრომის) განსახორციელებლად.	ენათმეცნიერების შესავალი (საფაკულტეტო სავალდებულო) შესავალი ლიტერატურათმცოდნეობაში (საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსი) ზოგადი ენათმეცნიერება (ფილოლოგიური კომპეტენციისთვის სავალდებულო კურსი); ლიტერატურის თეორია (ფილოლოგიური კომპეტენციისთვის სავალდებულო კურსი);
2.7	იტალიური ენის პრაქტიკული გამოყენება მთელი რიგი წერილობითი კორესპონდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, საუბრის თავისუფლად წარმართვის უნარ-ჩვევები. იტალიურ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვის, მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი. პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში ენის ეფექტურად გამოყენების უნარი; საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის, ნათლად, სტრუქტურირებულად ჩამოყალიბების, არგუმენტირებისა და განმარტებების გარკვევით გადმოცემის უნარი; იტალიური ენის სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების, მათ შორის ეტიმოლოგიური ლექსიკონების, გამოყენების უნარი.	იტალიური ენა 1, 2, 3, 4, 5, 6 (სავალდებულო); თანამედროვე იტალიელი ავტორი ორიგინალში 1, 2 (არჩევითი) საქმიანი იტალიური ენა (არჩევითი) იტალიური ენის სტილისტიკა (სავალდებულო)
2.8	სხვადასხვა ტიპის ტექსტების, მათ შორის სამეცნიერო, რეფერირების, კომენტარებისა და ანოტირების უნარი.	იტალიური ენა 1, 2, 3, 4, 5, 6, (სავალდებულო); იტალიურიდან ქართულ ენაზე თარგმანის თეორია და პრაქტიკა (სავალდებულო);

		<p>აკადემიური წერა (საფაკულტეტო სავალდებულო)</p> <p>ზოგადი ენათმეცნიერება (ფილოლოგიის კომპეტენციისათვის სავალდებულო)</p> <p>იტალიური ენის ლექსიკოლოგია (სავალდებულო)</p> <p>იტალიური ენის სტილისტიკა (სავალდებულო);</p> <p>იტალიური ენის სტრუქტურა (სავალდებულო)</p>
<p>2.9</p>	<p>სათარჯიმნო ბიუროების ტიპური დოკუმენტაციის და საქმიანი ქალაქების იტალიურიდან ქართულად და პირუკუ თარგმნის უნარი; საქმიანი საუბრების იტალიურად ქართულად და პირუკუ სათარჯიმნო პრაქტიკის უნარ-ჩვევები.</p>	<p>იტალიური ენა 1, 2, 3, 4, 5, 6, (სავალდებულო);</p> <p>საქმიანი იტალიური ენა (არჩევითი)</p>
<p>2.10</p>	<p>პროფესიულ სფეროებში ადაპტაციის უნარი. კონკრეტული, ვიწროდარგობლივი მონაცემების გააზრება როგორც ლინგვისტური, ისე ლიტერატურის თეორიისა და ისტორიულ-კულტუროლოგიური მონაცემების კონტექსტში. ლინგვისტური, ლიტერატურული და ისტორიული პროცესების ელემენტარული შეფასებისა და ანალიზის უნარი.</p>	<p>შესავალი რომანულ ფილოლოგიაში (საფაკულტეტო არჩევითი შესავლის კურსი);</p> <p>იტალიური ენა 1, 2, 3, 4, 5, 6, (ძირითადი);</p> <p>იტალიური ლიტერატურის ისტორია 1,2,3 (სავალდებულო)</p> <p>მეოცე საუკუნის იტალიური ლიტერატურა (არჩევითი)</p> <p>ენათმეცნიერების შესავალი (სავალდებულო საფაკულტეტო);</p> <p>ზოგადი ენათმეცნიერება (არჩევითი);</p> <p>იტალიური ენის ლექსიკოლოგია (სავალდებულო)</p> <p>იტალიური ენის სტილისტიკა (სავალდებულო)</p> <p>იტალიური ენის სტრუქტურა (სავალდებულო)</p> <p>იტალიური ენის ისტორია (სავალდებულო)</p>

	<p>იტალიურიდან ქართულ ენაზე თარგმანის თეორია და პრაქტიკა (სავალდებულო);</p> <p>იტალიური ენის სოციო-კულტურული ასპექტები (არჩევითი)</p> <p>იტალიური ენის სემანტიკის პრობლემები (არჩევითი) და პროგრამის სხვა არჩევითი დისციპლინები</p>
--	---

• **დასკვნის უნარი:**

ფილოლოგიური მეცნიერებების ამა თუ იმ აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით მასალებისა და მონაცემების შეგროვების, გააზრების, სისტემატიზაციისა და მათ საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების; იტალიური ფილოლოგიის სფეროში არსებული საშუალო სირთულის პრობლემების იდენტიფიკაციის და თანამედროვე მეთოდების გამოყენებით მათი გადაჭრის გზების მოძიების უნარი; ანალიზის შედეგად დასკვნის გაკეთების უნარი; დარგობრივ სფეროში ანალიტიკური უნარის გამომუშავება. არგუმენტირების, კრიტიკული შეფასების, სათანადო წერილობითი დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; დასამუშავებლად მიცემული მასალის ლოგიკურად აწყობა, ჩამოყალიბება და მისაღები ფორმულირებით გადმოცემა. პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვის უნარი; სისტემის (სტრუქტურის) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და მინიმალური დახმარების პირობებში მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების უნარი.

• **კომუნიკაციის უნარი:**

მინიმალური დახმარების პირობებში ინფორმაციის ეფექტურად მოპოვების უნარი როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის და სხვადასხვა ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით, ასევე ამ ინფორმაციის დამუშავება და სინთეზი დარგობრივ სფეროში მიღებული მეთოდების გამოყენებით.

ჯგუფური მუშაობის, დისკუსიაში მონაწილეობის, პროფესიული კამათის უნარ-ჩვევები. დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობა.

ინფორმაციის კონცეპტუალური სახით ჩამოყალიბებისა და გადაცემის; ფილოლოგიის სფეროში დეტალური წერილობითი ანგარიშის, საჯარო გამოსვლის ტექსტის, საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადების როგორც ქართულ, ისე იტალიურ ენაზე; სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ფილოლოგიასთან და იტალიური ენის პრაქტიკულ მეცადინეობებზე შესწავლილ საკითხებზე დაკავშირებული ინფორმაციის ზეპირად გადაცემის უნარი იტალიურ და ქართულ ენაზე; დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობის და აუდიტორიის კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემის; იტალიურ ენაზე პროფესიულ წრეებში ვერბალური და წერილი კომუნიკაციის კულტურა; საზოგადოებრივ ცხოვრებასა და პროფესიულ საქმიანობაში სპეციალობის ენის საკომუნიკაციო ფუნქციით ეფექტურად და მოქნილად გამოყენების უნარი

--

- **სწავლის უნარი:**

სამუშაო დროის სწორად და რაციონალურად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი. საკუთარ თავზე მუშაობის და ბაკალავრიატში სწავლის მანძილზე მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფის უნარი; განათლების შემდგომ (სამაგისტრო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. ზოგადად ფილოლოგიურ და ჰუმანიტარულ კონტექსტში საკუთარი ცოდნის შეფასების და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრის უნარი; დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარებით, სპეციალური, ქართული და იტალიური ლიტერატურის გამოყენებით ცოდნის მიღების; წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების მიხედვით, ხელმძღვანელის მეთვალყურეობით კვლევითი სამუშაოს შესრულების უნარი.

- **ღირებულებები:**

კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ტოლერანტობა, განსხვავებული კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა. ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებებისადმი პატივისცემის გრძნობა;

პროფესიული ეთიკის ნორმების ცოდნა; ზოგადად ფილოლოგიურ, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში არსებული ეთიკური პრობლემების ამოცნობის, გააანალიზების, შესაბამისი გადაწყვეტილებების შერჩევისა და დაცვის უნარი; საკუთარი პროფესიისადმი და სამუშაო გარემოსადმი პატივისცემის გრძნობა; დაკისრებული მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა; ტოლერანტობისა და ინტელექტუალური საკუთრების, პიროვნების თავისუფლებისა და საკუთარი ერის წინაშე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა;

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სწავლის შედეგების მისაღწევად **იტალიური ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, თარგმანის, საკონტროლო წერის, დასკვნითი გამოცდის, საბაკალავრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, ევრისტიკული მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, წერიითი დავალებები და სხვ.).

დისკუსია/დებატები – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხს სასწავლო პროცესში, მათ აქტივობას. დისკუსიის მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების უნარს.

ჯგუფური მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

ვერსტიკული მეთოდი - ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

როლური და სიტუაციური თამაშები - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. როლური და სიტუაციური თამაშები განსაკუთრებით ეფექტურია ენის სწავლების პროცესში და ხელს უწყობს სტუდენტის მაქსიმალურ მოტივირებას და მობილიზებას იმიტირებულ სიტუაციაში ჩასართველად.

დემონსტრირების მეთოდი - ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი -

- **სწავლების ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- **სწავლების დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- **სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

ახსნა–განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: სხვადასხვა ტიპის ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ.

იტალიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოიყენებული ფორმატი და სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის მართებულ განაწილებას და სწავლების მეთოდების სწორად შერჩევას სამუშაო ჯგუფებში, პრაქტიკულ მეცადინეობებსა და პრეზენტაციებისას, რადგან სწორად დაგეგმილი და განხორციელებული ზეპირი კომუნიკაცია სააუდიტორიო მუშაობას უფრო ეფექტურს ხდის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენის სწავლების სტრატეგიის მართებულად შერჩევას, მისი თითოეული ეტაპის მომზადებას, სწორად დაგეგმვას, მოსალოდნელი შედეგების რეალისტურ გათვლას და მათ ეტაპობრივ რეალიზებას. ამგვარი სტრატეგიისა და დაგეგმვის აუცილებლობა განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ **იტალიური ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამა იტალიური ენით მარკირებული პროგრამაა, რომლის ბევრი თეორიული სალექციო და პრაქტიკული კურსი იტალიურ ენაზე და იტალიურენოვან ტექსტზე ორიენტირებულ სწავლებაზეა დაფუძნებული.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. დასკვნითი გამოცდა ფასდება მაქსიმუმ 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს (კომბინირებული გამოცდა); დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით/ განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან. სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია სასწავლო კურსების შესაბამის სილაბუსებში.

დასაქმების სფეროები: ბაკალავრიატში სწავლება ორიენტირებულია იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს დასაქმებაში. სწავლის მიზნები განისაზღვრება შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად. **იტალიური ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული **ფილოლოგიის ბაკალავრი** მზადდება, როგორც ფართო პროფილის სპეციალისტი სათარჯიმნო, სამუზეუმო, სარედაქტორო, სარეფერენტო და მხატვრულ-კრიტიკული საქმიანობისათვის. შრომით ბაზარზე ის შეიძლება დასაქმდეს შემდეგ სფეროებში:

- სამთავრობო და არასამთავრობო სექტორში, ადგილობრივ და რეგიონულ ადმინისტრაციაში;
- ადამიანური რესურსების მართვის სფეროში;
- რადიოსა და ტელევიზიაში;
- ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში;
- გამომცემლობებში;
- საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საელჩოებში;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში, არქივებში, მუზეუმებში, ტურისტულ ბიუროებში, ბიბლიოთეკებში და ა.შ.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 1

სილაბუსები: იხ. დანართი № 2

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მათა ჯავახიძე

დამატებითი ინფორმაცია: იტალიურ ფილოლოგიაში მიღებული საბაკალავრო განათლება საფუძველს შეუქმნის სტუდენტს, სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში იმავე სპეციალობაზე ან აირჩიოს სხვა სპეციალობა, რომელიც უშვებს თავის პროგრამაზე ფილოლოგიის ბაკალავრს.

ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადაა მეორე სემესტრი. ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელი ყოველწლიურად 30 სტუდენტის მიღება.

იტალიური ფილოლოგიის ძირითად საბაკალავრო პროგრამასთან თავსებადია შემდეგი დამატებითი პროგრამები:

პედაგოგიკის დამატებითი პროგრამა, რომლის არჩევის შემთხვევაში სტუდენტს საშუალება ეძლევა მოიპოვოს იტალიური ენის მასწავლებლის მაძიებლის სტატუსი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო 1-წლიან მაძიებლობის პერიოდის და მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში მოიპოვებს მასწავლებლობის უფლებას.

ქართული ფილოლოგიის დამატებითი პროგრამა, რომლის არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შეეძლება უკეთ დასაქმდეს სარედაქციო/საგამომცემლო საქმეში.

ჟურნალისტიკის დამატებითი პროგრამა, რომლის არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შეეძლება უკეთ დასაქმდეს რადიოსა და ტელევიზიაში.

კულტურის მეცნიერებათა, ისტორიის, არქეოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის დამატებითი პროგრამები, რომლის არჩევის შემთხვევაში სტუდენტი უკეთ დასაქმდება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში, არქივებში, მუზეუმებში, ტურისტულ ბიუროებში.

სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის დამატებითი პროგრამების, ეკონომიკის ფაკულტეტიდან კი ტურიზმის დამატებითი პროგრამის აღება და მათი კომბინირება იტალიური ფილოლოგიის ძირითად პროგრამასთან უფართოებს სტუდენტს ცოდნის არეალს და აძლევს კურსდამთავრებულს შრომით ბაზარზე დასაქმების მეტ შანსს.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:

1. ჯავახიძე მია, ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი;
2. ხმალაძე ნინო, ენების ცენტრის მასწავლებელი;
3. კალატოზიშვილი გიული, ენების ცენტრის მასწავლებელი;
4. დაგა ნიკოლეტა, იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მოვლინებული მასწავლებელი;
5. ტიტვინიძე მერი, მოწვეული მასწავლებელი (იტალიურ ლიტერატურაში);

ბიოგრაფიული მონაცემები (CV) დანართის სახით; იხ. დანართი № 3

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:

პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს:

1. კომპიუტერული რესურს-ცენტრები (თსუ II და V კორპუსები);

2. თსუ -ს ბიბლიოთეკა (მაღლივი კორპუსი);
3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა (VIII კორპუსი, სამუშაო საათები ორშაბათი-პარასკევი 9.00 - 17.00, შაბათი 10.00-16.00);
4. იტალიური ფილოლოგიის დეპარტამენტის კაბინეტში არსებული აპარატურა (კომპიუტერი, ვიდეო, ქსეროქსი, ტელევიზორი) და ბიბლიოთეკა (V კორპუსი, აუდ. 220);
5. გაცვლითი პროგრამები იტალიის უნივერსიტეტებთან და იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ყოველწლიურად გამოცხადებული სტიპენდიები.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის იტალიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამა თუ იმ აკადემიურ თანამდებობაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საკონკურსო თანამდებობასთან კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის მიხედვით არჩეული აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის/ინსტიტუტის/დეპარტამენტის/ პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით მოწვეული პერსონალის (დოქტორები, მეცნიერ-მკვლევრები, მასწავლებლები) პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის სტაბილურობას უზრუნველყოფს მათთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება და ამ ხელშეკრულების პირობები.

**დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამა:
იტალიური ფილოლოგია**

დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: იტალიური ფილოლოგია/ Italian Philology

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 60 ESTC კრედიტი (სავალდებულო დისციპლინები -40 კრედიტი და სპეციალობის არჩევითი საგნები -20 კრედიტი).

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი: დამატებითი პროგრამა იტალიურ ფილოლოგიაში ორიენტირებულია იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს დასაქმებაში და მისცეს მას დასაქმების დამატებითი შესაძლებლობა (მის Mg. პროგრამასთან ერთად). პროგრამა მიზნად ისახავს ბაკალავრს მისცეს ზოგადი ცოდნა იტალიური ფილოლოგიის სფეროში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: წინაპირობის გარეშე

სწავლის შედეგი:

ა) ცოდნა და გაცნობიერება

ენის პრაქტიკული ცოდნა B1 დონის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს

- ოთხ კომპეტენციას იტალიურ ენაში: წერას, კითხვას, მოსმენას და საუბარს.

ენის თეორიული საგნების საფუძვლების ცოდნა

- ძირითადი საკითხები, ცნებები
- შესაბამისი ტერმინოლოგია
- არსებული თეორიები და შეხედულებები გარკვეულ საკითხებზე
- ენის ერთ მთლიან სისტემად გაცნობიერება.

იტალიური ლიტერატურის ისტორიაში:

- კონკრეტული ლიტერატურული მიმდინარეობა
- ლიტერატურული მიმდინარეობების თვალსაჩინო წარმომადგენლები
- ლიტერატურული ნაწარმოებების ანალიზი, განხილვა, შეფასება, საკუთარი შეხედულებების გამოხატვა.

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

1. მოცემული თეორიული პრობლემის გაგება, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ლიტერატურის მოძიება და მისი ანალიზი.
2. იტალიური ენის B1 დონის შესაბამისი ცოდნა ბაკალავრიატს კურსდამთავრებულს საშუალებას აძლევს

- **აუდირება:** გაიგოს ნათელი, სტანდარტული მეტყველების მთავარი აზრი; ასევე შეუძლია გაიგოს რადიო და ტელეპროგრამებში (როდესაც გადაცემა მიმდინარეობს შედარებით ნელა და მკაფიოდ) მის პირად და პროფესიულ ინტერესებთან დაკავშირებული თუ მიმდინარე საკითხების მთავარი აზრი.
- **წაკითხვა:** შეუძლია გარკვეულ ენობრივ მასალაზე აგებული ყოველდღიური ცხოვრების გამომხატველი ტექსტის, ასევე კერძო ხასიათის წერილებში აღწერილი მოვლენების, გრძნობებისა და სურვილების გაგება.
- **დიალოგი:** იტალიაში ყოფნისას შეუძლია ურთიერთობა მრავალგვარ სიტუაციაში. შეუძლია მოუმზადებლად მიიღოს მონაწილეობა დიალოგებში მისთვის ნაცნობ საინტერესო თემებზე.
- **მონოლოგი:** მას შეუძლია მარტივი საშუალებებით ერთმანეთს დაუკავშიროს ფრაზები, რათა აღწეროს პირადი შთაბეჭდილებები და მოვლენები; მოკლედ ახსნას და დაასაბუთოს თავისი შეხედულებები და გეგმები, შეუძლია ამბის მოყოლა და წიგნის ან ფილმის შინაარსის გადმოცემა, მათ მიმართ თავისი დამოკიდებულების გამოხატვა.
- **წერა:** შეუძლია მისთვის ნაცნობ საინტერესო თემებზე მარტივი გაბმული ტექსტის დაწერა, შეუძლია კერძო ხასიათის წერილის დაწერა და მასში თავის განცდებზე და შთაბეჭდილებებზე საუბარი.

3. ლიტერატურული ნაწარმოების ანალიზი, განხილვა;

გ) დასკვნის უნარი:

ენის თეორიულ საგნებსა და იტალიურ ლიტერატურაში მიღებული ცოდნის ანალიზისა და სინთეზის უნარი, შესაბამისი, დასაბუთებული დასკვნების გამოტანის უნარი და მათი ლოგიკური ჩამოყალიბება.

დ) კომუნიკაციის უნარი

1. ენის თეორიული კონკრეტული პრობლემის ანალიზი, საკუთარი დასკვნების ზეპირი თუ წერილობითი ჩამოყალიბება.
2. იტალიური ენის B1 დონის შესაბამისი წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია.
3. კონკრეტული ლიტერატურული პრობლემის შესწავლის შემდეგ მისი პრეზენტაცია აუდიტორიის წინაშე, წამოჭრილ შეკითხვებზე პასუხის გაცემა, კამათში ჩაბმა და საკუთარი დასკვნების დასაბუთება.

ე) სწავლის უნარი

სილაბუსის მიხედვით გასავლელი საგნის შესწავლის მიზნებისა და შედეგების დადგენა; ცოცხალი სასწავლო პროცესის ანალიზი, საკუთარი სასწავლო პროცესის წარმართვა, მისი შეფასება, დროის დაგეგმვა, პრიორიტეტების დადგენის უნარი.

ვ) ღირებულებები

1. სტუდენტებს უყალიბდებათ ინტერპერსონალური ურთიერთობებისა და აკადემიური ეთიკის ნორმები; კულტურული მრავალფეროვნების ადეკვატური აღქმის უნარი, ტოლერანტობა.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

1. ენის თეორიული საგნების შინაარსსა და იტალიური ლიტერატურის ისტორიის სწავლებისთვის გამოყენებულ პრიორიტეტულ მეთოდებს განაპირობებს სწავლების ფორმატი:
ლექცია – ვერბალური მეთოდი.
სემინარისათვის, შუალედური გამოცდისა და საბოლოო გამოცდისათვის მომზადება – წიგნზე მუშაობის მეთოდი, დისკუსია, ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი; საჭიროების შემთხვევაში მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა.
2. ენის პრაქტიკული საგნებში (იტალიური ენის გრამატიკა და ლექსიკა): გამოიყენება შემდეგი მეთოდები:
ახსნა–განმარტებითი, გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები, ჯგუფური მუშაობა, წერითი დავალებები.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70– დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 1

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მანია ჯავახიძე

დამატებითი ინფორმაცია: დამატებითი პროგრამა იტალიურ ფილოლოგიაში ითვალისწინებს იმ მინიმალურ თეორიულ მომზადებას (ენის თეორიული საგნებსა და იტალიურ ლიტერატურას), რომელიც წარმოადგენს მეცნიერული კვლევის საფუძვლებს, ამიტომ აღნიშნული დამატებითი საბაკალავრო პროგრამა საშუალებას აძლევს ბაკალავრს, სურვილის შემთხვევაში, სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში იტალიური ენისა და ლიტერატურის სპეციალობით.

იტალიური ფილოლოგიის დამატებითი პროგრამის არჩევა სასურველია III, მაქსიმუმ IV სემესტრიდან .

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა**

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება:

სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **იტალიური ფილოლოგია**

სწავლების საფეხური: **ბაკალავრიატი (240 კრედიტი)**

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: **ასოცირებული პროფესორი მაია ჯავახიძე**

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: **№57/2011**

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2011-2012 სასწავლო წელი**

პროგრამის სტრუქტურა

საფაკულტეტო კურსები / მოდულები												
საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები / მოდულები – 20 კრედიტი (ECTS)												
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა ECTS	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში		სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში			დასკვნითი გამოცდის ჩაბარება	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ლექტორები
			ლექცია	სამუშაო / ჯგუფი / პრაქტიკული	ლექცია-პრაქტიკებისათვის მომზადება	შუალედური გამოცდის/გამოცდების მომზადება	დასკვნითი გამოცდის მომზადება			შემოდგომა	გაზაფხული	
	ენათმეცნიერების შესავალი	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
	აკადემიური წერა	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
	ფილოსოფიის შესავალი	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
	საქართველოს ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	

	(არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის)											
ქართული ენა A1.1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი		
ქართული ენა A1.2	5	60	45	8	10	2	ქართული ენა A1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი		
ქართული ენა A2.1	5	60	45	8	10	2	ქართული ენა A1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი		
ქართული ენა A2.2	5	60	45	8	10	2	ქართული ენა A2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი		
ქართული ენა B1.1	5	60	45	8	10	2	ქართული ენა A2.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი		
ქართული ენა B1.2	5	60	45	8	10	2	ქართული ენა B1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი		
ქართული ენა B2.1	5	60	45	8	10	2	ქართული ენა B1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი		
ქართული ენა B2.2	5	60	45	8	10	2	ქართული ენა B2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი		
საფაკულტეტო არჩევითი კურსები (კლასიკური ან აღმოსავლური ენა) – 10 კრედიტი (ECTS)												
ძველი ბერძნული ენა (საფაკულტეტო)	10											
ძველი ბერძნული ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი		
ძველი ბერძნული ენა 2	5	60	45	8	10	2	ძველი ბერძნული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი		
ლათინური ენა(საფაკულტეტო)	10											
ლათინური ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი		
ლათინური ენა 2	5	60	45	8	10	2	ლათინური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი		
არაბული ენა (საფაკულტეტო)	10											
არაბული ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი		
არაბული ენა 2	5	60	45	8	10	2	არაბული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი		
სპარსული ენა (საფაკულტეტო)	10											
სპარსული ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი		
სპარსული ენა 2	5	60	45	8	10	2	სპარსული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი		
თურქული ენა(საფაკულტეტო)	10											
თურქული ენა1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი		
თურქული ენა2	5	60	45	8	10	2	თურქული ენა1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი		

	ებრაული ენა (საფაკულტეტო)	10										
	ებრაული ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი	
	ებრაული ენა 2	5	60	45	8	10	2	ებრაული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი	
	იაპონური ენა (საფაკულტეტო)	10										
	იაპონური ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი	
	იაპონური ენა 2	5	60	45	8	10	2	იაპონური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი	
	ჩინური ენა (საფაკულტეტო)	10										
	ჩინური ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი	
	ჩინური ენა 2	5	60	45	8	10	2	ჩინური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი	
	ახალი სომხური ენა 1(საფაკულტეტო)	10										
	ახალი სომხური ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი	
	ახალი სომხური ენა 2	5	60	45	8	10	2	ახალი სომხური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი	
საფაკულტეტო არჩევითი კურსები (შესავალი კურსები) – 10 კრედიტი (ECTS)												
	შესავალი ლიტერატურათმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ირმა რატიანი
	შესავალი ისტორიის მეცნიერებებში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
	შესავალი არქეოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი ეთნოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი კულტურის მეცნიერებებში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი ხელოვნებათმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი კავკასიოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი აღმოსავლეთმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი ქართულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ლ. ხაჩიძე, ა. ხარნაული
	შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
	შესავალი გერმანულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი რომანულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ქ.გაბუნია

შესავალი კლასიკურ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
შესავალი ბიზანტიურ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
შესავალი ახალ ბერძნულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
შესავალი სლავურ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
შესავალი ამერიკისმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
შესავალი პედაგოგიკაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
ყველა ფილოლოგიური პროგრამისათვის სავალდებულო კურსები - 20 კრედიტი (ECTS)											
ლიტერატურის თეორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	
ზოგადი ენათმეცნიერება /რომანული ენების ლინგვისტური კომპარატივისტიკა	5	30	30	45	8	9	3	ენათმეცნიერების შესავალი, იტალიური ენა 4	✓	✓	
მსოფლიო ლიტერატურის ისტორია	5								✓	✓	
ქართული ლიტერატურის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
ანტიკური ლიტერატურის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
ახალი ბერძნული ლიტერატურის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
რუსული ლიტერატურის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
ინგლისური ლიტერატურის ისტორია (მოკლე კურსი, ინგლისურ ენაზე)	5	15	15	75	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მანანა გელაშვილი
ფრანგული ლიტერატურის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
იტალიური ლიტერატურის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
ესპანური ლიტერატურის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
თარგმანის თეორია და პრაქტიკა	5										
იტალიური ენიდან ქართულად თარგმანის თეორია და პრაქტიკა	5	30	15	60	8	9	3	იტალიური ენა 4		✓	მერი ტიტვინიძე
სპეციალობის სავალდებულო კურსები – 80 კრედიტი (ECTS)											

იტალიური ენა 1	6	30	90	15	6	5	4	წინაპირობის გარეშე		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
იტალიური ენა 2	6	30	90	15	6	5	4	იტალიური ენა 1	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
იტალიური ენა 3	6	30	90	15	6	5	4	იტალიური ენა 2		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
იტალიური ენა 4	6	30	90	15	6	5	4	იტალიური ენა 3	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
იტალიური ენა 5	6	30	90	15	6	5	4	იტალიური ენა 4		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
იტალიური ენა 6	5	30	60	20	6	5	4	იტალიური ენა 5	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
იტალიური ლიტერატურის ისტორია 1 (იტალიური ლიტერატურა შუა საუკუნეებიდან აღორძინებამდე)	5	30	30	47	4	9	5	წინაპირობის გარეშე	✓		მ.ტიტვინიძე
იტალიური ლიტერატურის ისტორია 2 (ბაროკო, რომანტიზმი და კლასიციზმი იტალიურ ლიტერატურაში)	5	30	30	47	4	9	5	იტ. ლიტერატურის ისტორია 1		✓	მ.ტიტვინიძე
იტალიური ლიტერატურის ისტორია 3 (რისორჯიმენტო, იტალიის მეორე აღორძინება)	5	30	30	47	4	9	5	იტ. ლიტერატურის ისტორია 2	✓		მ.ტიტვინიძე
იტალიური ენის ლექსიკოლოგია	5	30	30	45	8	9	3	იტალიური ენა 1	✓		მ.ჯავახიძე
იტალიური ენის ისტორია	5	30	30	45	8	9	3	იტალიური ენა 2		✓	მ.ჯავახიძე
იტალიური ენის სტრუქტურა	5	30	30	45	8	9	3	იტალიური ენა 3	✓		მ.ჯავახიძე
იტალიური ენის სტილისტიკა	5	30	30	45	8	9	3	იტალიური ენა 4		✓	მ.ჯავახიძე
საბაკალავრო ნაშრომი	10										
სპეციალობის არჩევითი კურსები – 20 კრედიტი (ECTS)											
საქმიანი იტალიური ენა	5	30	30	43	8	9	5	იტალიური ენა 6		✓	მ.ჯავახიძე ენების ცენტრის მასწავლებელი

თანამედროვე იტალიელი ავტორი ორიგინალში 1	5	15	30	64	4	9	3	იტალიური ენა 1	✓		მ.ჯავახიძე
თანამედროვე იტალიელი ავტორი ორიგინალში 2	5	15	30	64	4	9	3	იტალიური ენა 2		✓	მ.ჯავახიძე
იტალიური ენის სოციო-კულტურული ასპექტები	5	15	30	64	4	9	3	იტალიური ენა 3	✓		მ.ჯავახიძე
იტალიური ენის სემანტიკის პრობლემები	5	15	30	64	4	9	3	იტალიური ენა 4		✓	მ.ჯავახიძე
ლუიჯი პირანდელოს შემოქმედება	5	15	30	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		მ.ტიტვინიძე
იტალიური ეგზისტენციალიზმი	5	15	30	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	მ.ტიტვინიძე
მეოცე საუკუნის იტალიური ლიტერატურა	5	15	30	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		მ. ტიტვინიძე

თავისუფალი კრედიტები – 10 კრედიტი (ECTS)

სტუდენტს შეუძლია პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციით აირჩიოს ორი საგანი სხვა საბაკალავრო პროგრამიდან ან ისწავლოს უცხო ენა.

დამატებითი პროგრამა: იტალიური ფილოლოგია (60 ECTS კრედიტი)

სავალდებულო კურსები – 40 კრედიტი (ECTS)

კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტები	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში	სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში				დასკვნითი გამოცდის	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემეტრი		ლექტორი/ლექტორები
				30	90	15	6			5	4	
	იტალიური ენა 1	6	30	90	15	6	5	4	წინაპირობის გარეშე		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	იტალიური ენა 2	6	30	90	15	6	5	4	იტალიური ენა 1	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	იტალიური ენა 3	6	30	90	15	6	5	4	იტალიური ენა 2		✓	ენების ცენტრის

												მასწავლებელი
იტალიური ენა 4	6	30	90	15	6	5	4	იტალიური ენა 3	✓			ენების ცენტრის მასწავლებელი
იტალიური ენა 5	6	30	90	15	6	5	4	იტალიური ენა 4	✓			ენების ცენტრის მასწავლებელი
იტალიური ენის ისტორია	5	30	30	45	8	9	3	იტალიური ენა 2		✓		მ.ჯავახიძე
იტალიური ლიტერატურის ისტორია 1	5	30	30	47	4	9	5	წინაპირობის გარეშე	✓			მ.ტიტვინიძე
არჩევითი კურსები – 20 კრედიტი (ECTS)												
სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ძირითადი პროგრამის სავალდებულო ან არჩევითი საგნებიდან ნებისმიერი სასწავლო კურსი												

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____

ფაკულტეტის ბეჭედი